ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი და ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა

ტუნაძე თემურ
ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი

სტამბოლიშვილი ნანა
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებას 2007 წლის 17 მაისს შეემატა. იგი სწორედ იმ შენობაშია განთავსებული, სადაც 1917 წლამდე ძმები ნობელების ნავთობსამრეწველო ამხანაგობის „ბათუმის კანტორა" მდებარეობდა.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქცია და, შესაბამისად, ქალაქად ჩამოყალიბება უპირველესად მისმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განსაზღვრა. ამ ფონზე ვთვლით, რომ ბათუმის, როგორც ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა, სხვა კულტურულ ფასეულობებთან ერთად, მჭიდროდაა დაკავშირებული ქალაქის სავაჭრო-სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. მიგვაჩნია, რომ ამ მიდგომით ქალაქის, კულტურული მემკვიდრეობა უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება.

ბათუმის კულტურული მემკვიდრეობა, მისი დიდი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ფართო და მრავლისმომცველი თემატიკაა. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ქალაქის მხოლოდ იმ კულტურულ ფასეულობებზე, რომლებიც ასახულია ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში.

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ბათუმის მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია. მუზეუმი დაახლოეით სამი წელია ამ ტიპის საქმიანობას ეწევა. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ინტერესშემცველია მუზეუმში დაცული მასალები, რომლებიც საინტერესოა ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. მათი დაცვა-პოპულარიზაცია მუზეუმის ღირსებას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, იგი უაღრესად ფასეულია კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც ბათუმში.

მუზეუმი განთავსებულია იმ შენობაში, რომელშიც, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა ძმები ნობელების ნავთობსამრეწველო ამხანაგობის „ბათუმის კანტორა". შავი ზღვის აუზში ამხანაგობას

ორი „კანტორა“ ჰქონდა, რომელთაგან ერთი, გარდა ბათუმისა, მდებარეობდა ნოვოროსიისკში. მუზეუმის შენობა ორსართულიანია. მეორე სართულის იატაკი მიწის ზედაპირიდან დაახლოებით ერთი მეტრით მაღლაა, რაც მიუთითებს, რომ იგი ბათუმის კლიმატური პირობების გათვალისწინებით იყო დაპროექტებული. ფასადის მხრიდან ახასიათებს ფართო, რიკულებიანი აივანი. სარკმლების კონტურები კედლის სიბრტყიდან დეკორატიული არშიითაა გამოყოფილი. შენობის მარჯვენა კუთხეში მიშენებულია ერთგვარი კოშკი, რომლის შიგნით ხვეული კებეები სართულებსა და სხვენს შორის კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს. ამგვარი დაგეგმარების უნდა ყოფილიყო შენობა თავდაპირველადაც. მის ექსტერიერს არსებითი ცვლილება არ განუცდია, მუზეუმის ექსპოზიციების მოწყობის დროს დაილუქა მხოლოდ სარკმლები. სამწუხაროდ შენობის ინტერიერის თავდაპირველი დაგეგმარების შესახებ არაფერი ვიცით. ადგილობრივი ხანდაზმული მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩა მხოლოდ შენობის ხალხური სახელწოდებები: „მდიდრის სახლი“, „გუბერნატორის სახლი“. ასე მოგვითხრობენ ადგილობრივი ხანდაზმულები შენობის ისტორიასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, თუმცა თანამედროვეობაში ვეღარ აკონკრეტებენ ეს „მდიდარი“ თუ „გუბერნატორი“ ვინ იყო. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო სიტყვების „მდიდარი“, „გუბერნატორი“ ზოგადმა მნიშვნელობებმა, როგორც ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებული პირის აღმნიშვნელმა ტერმინებმა და ეპითეტებმა ძმებ ნობელებთან მიმართებაში. 1910-1915 წლებში იმპერატორ ნიკოლოზ II საგანგებო ნებართვითა და დავალებით, რუსეთის იმპერიის რეგიონებში, მათ შორის საქართველოში მოგზაურობდა ფერადი ფოტოს შემქმნელი, ფოტორგაფიის დიდოსტატი პროკუდინ გორსკი. ფოტოხელოვანის საინტერესო ფოტოებს შორის არის ერთი ფოტო, რომელიც თავად ავტორმა დაასათაურა შემდეგნაირად «нобелевский городок» („ნობელის ქალაქი“). მასზე ასახულია ძველი ბათუმი, კერძოდ, ნავსადგური, რეზერვუარები და მიმდებარე ტერიტორია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფოტო და მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს ნობელების როლსა და მასშტაბებს, რომელთა გათვალისწინებით შეარქვა პროკუდინ გორსკიმ თავის ერთ-ერთ ფოტოს „ნობელის ქალაქი“. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, ამგვარი სახელწოდებით ისტორიაში არც ერთი ქალაქი არაა ცნობილი. გორსკის ფოტოთი თანამედროვეობას შემოენახა ფასდაუდებელი კულტურულ-ისტორიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ისტორიის ვიზუალური ფაქტი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს ბათუმის მნიშვნელობა XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში, კერძოდ ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე.

ბათუმის თანამედროვე ნავთობტერმინალი არაერთ ნავთობ-რეზერვუარს ითვლის, მათ შორისაა ძმები ნობელების კუთვნილი ერთადერთი ძველი რეზერვუარი. იგი ბათუმის ნავთობ-ტერმინალის ტერიტორიაზე მდებარეობს და მას სიამაყით უჩვენებენ ვინც საპატიო სტუმრის სტატუსით ათვალიერებს ტერმინალს და ეცნობა მის ისტორიას. ბათუმის ნავთობტერმინალი 1883 წელს გაიხსნა და შესაბამისად, აღნიშნული რეზერვუარის ასაკი საუკუნეზე მეტს ითვლის. XIX საუკუნის 80-იანი წლები ბათუ-მისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო არა მხოლოდ ნავთობის ტრანზიტსა და ნავთობვაჭრობაში, არამედ, ზოგადად, ქალაქის ისტორიაში, მისი შემდგომი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. 1883 წელს უკავშირდება, ასევე, ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ამოქმედება, რამაც ახალი ბიძგი მისცა ნავთობის ვაჭრობას და შესაბამისად, ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურას. 1883 წლიდან ბათუმის პორტის საქონელბრუნვაში ნავთობ-პროდუქტების წილი სწრაფად გაიზარდა და ნავთობის საერთაშორისო ვაჭრობაშიც აშკარა გახდა ქალაქის მიმზიდველი პერსპექტივები.

ნავთობთან დაკავშირებით მუზეუმში გამოფენილია ნედლი ნავთობითა და ნავთით შევსებული ეტალონური ბოთლები, რომლებიც 1896 წლებით თარიღდება[1]. ესაა გადაუმუშავებელი ნავთობისა და გასანათებელი საშუალების - ნავთის, 1882-1896 წლების პირველი სინჯები. რაც ადასტურებს, რომ ამ სახის ნავთობპროდუქტი გაჰქონდათ ბათუმიდან. ბოთლები მართკუთხა ფორმისაა, დამზადებულია სპეციალური შეკვეთით. ბოთლის გვერდზე, ზედა და ქვედა მხარეს, გამოსახულია რუსეთის იმპერიის გერბები, რომელთა გასწვრივ მოცემულია, ასევე რელიეფურად გამოყვანილი თარიღები „1882“ და „1896“. მათ შორის ერთ ხაზზე მოცემულია, ასევე, რელიეფური წარწერა რუსულ ენაზე «ТОВ.БР.НОБЕЛЬ». მსგავსი ეტალონური ბოთლები საქართველოში, გარდა ბათუმისა, სხვაგან არსად არ დასტურდება. უტყუარია ეს ბოთლები ძმები ნობელების საქმიანობასთანაა დაკავშირებული ბათუმში და ამ ნიშნით ისინი მუზეუმისათვის მნიშვნელოვანი ექსპონატებია. რამდენადაც 1896 წელი ზედა ქრონოლოგიური თარიღია, ამდენად ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ ბოთლებიც ამ წელსაა დამზადებული. ეს თარიღი შესაძლოა უკავშირდებოდეს „ძმები ნობელების ნავთობსამრეწველო ამხანაგობის“ დაარსების 20 წლისთავს, რომელიც ძმებმა სხვა კომპანიონებთან ერთად 1876 წელს დაარსეს. ბოთლები, როგორც აღინიშნა, შექმნილია ნავთობ-პროდუქტების სინჯებისათვის, როგორც ეტალონური ნიმუშები, დალუქული და შენახული სპეციალურად ისტორიისათვის. ისინი იმთავითვე გათვლილი იყო, როგორც ტიპიური სამუზეუმო ექსპონატები, რომლებზეც მარკირებული მისი მწარმოებელი და მესაკუთრე - ძმები ნობელების ამხანაგობა.

ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს მხოლოდ მუზეუმის ექსპონატების ერთი, მცირე ნაწილის პრეზენტაცია. აღნიშნულთან ერთად გვსურს წარმოვაჩინოთ მუზეუმის როლი, როგორც ქალაქ ბათუმის კულტურული ღირებულებების საცავი. ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის სამრეწველო კომპანიები, პიროვნებები და, საერთოდ, ქალაქის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. მუზეუმში დაცული ექსპონატები, მათი თანმხლები ინფორმაცია ასახავს ბათუმის ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდს, როცა 1878 წელს ოსმალთაგან გათავისუფლებული ქალაქი სწრაფად განვითარდა და გადაიქცა საერთაშორისო მნიშვნვლობის სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქად. ესაა ბათუმის ისტორიისა და საქალაქო კულტურის ამსახველი მუზეუმი, რომელიც მრავალვექტორულ განზომილებაში იკვლევს და ახორციელებს კულტურულ ღირებულებათა პოპულარიზაციას.

[1] ბოთლები წარმოადგენს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის საკუთრებას. გამოფენილია და დაცული ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში.

Batumi Technological Museum and Town's Cultural Heritage

Tunadze Temur
Nobel Brothers Batumi Technological Museum

Stambolishvili Nana
Shota Rustaveli State University

The Nobel Brothers Batumi Technological Museum was added to the Georgian museums' life on 17th of May, 2007. This museum is located in the same building, where the Nobels had their oil company's "Batumi office" until 1917.

The Sea Trading transit function of Batumi and its development as the city was caused by its geopolitical situation. Against this background, we believe that the city of Batumi as a cultural heritage with other cultural values are closely connected with the city 's transit infrastructure and trade development. We think that with this approach the town's cultural heritage is becoming more diverse and interesting.

Batumi cultural heritage, according to its great historical past, is wide and comprehensive issue. The article highlights the town's cultural values only reflected in the technical museum of Batumi.

One of the most important and basic goal of the Nobel brothers Batumi Technological Museum is Batumi diverse cultural heritage research and promotion. The museum has been engaged in this type of activity for three years. In terms of cultural heritage, materials kept in the museum are very interesting. Their promotion and defense is the dignity of the museum. By the way it is extremely valuable in terms of cultural tourism development in Batumi as well.

The museum is located in the building, as it was mentioned already, where the Nobels had their oil company's Batumi department "office". The company "Branobel" owned two "offices" in the Black Sea basin. One of them was in Novorosisk. The museum is two storied building. The second floor is approximately one meter high from the land surface, which indicates that it was designed and built up by taking into consideration the climatic conditions of Batumi. There is the wide balcony with balusters. There is decorative separation of the window shapes are from the wall.

There is the tower on the right corner of the building. There is the wriggle stairs inside the tower. It has the function of communication between two floors. The design of the building is not changed at all. There were only windows sealed while arrangement of the museum. Unfortunately we do not have information about the original interior planning and building. Local old population remembers only the folk names of this building, like: "House of

rich", "Governor's house", but they can not say exactly who was this "rich" or "governor". In this case we paid attention to the words "rich" and "governor", their general meanings as the terms denoting economically and socially elevated people in connection with the Nobel brothers. In 1910-1915 years, by the King Nikolas the 2nd wish and special instruction, in the regions of Russian empire and on Georgia among them, traveled the master of colorful photos, master of photography – Progudin Gorsky. There is a photo among the very interesting photos, which is named by himself as a "Nobel's City" and which represents the old part of Batumi and generally port, reservoirs and surrounding areas. We thin that this photo and its name exactly represents the territory owned by the Nobels company. That is why it is named as "The Nobel's City". There is no other town known with such name in the materials available to us. This photo by Gorsky gave modernity the visual fact of an invaluable historical and cultural importance of geopolitical history, which clearly shows the importance of Batumi in XX century in the world economy, in particular, international oil business.

Batumi modern oil terminal counts several oil reservoirs and there is one of the oldest reservoir owned by the Nobels among them. It is located on the territory of Batumi oil terminal and is proudly shown to any honored guest browsing terminal. Batumi oil terminal was opened in 1883, so that reservoir counts more than hundred years of its existence. This fact had the great importance for Batumi for the future economy development of Batumi. In 1883, Baku-Batumi was also connected with the railway line, which activated a new impetus to trade and the oil city of Batumi. Since 1883 turnover of the port of Batumi Oil's share has increased rapidly and the International Oil trading it became clear that the city was very attractive.

There are exhibited two reference bottles of crude oil and kerosene in the museum. They are dated 1896 years[2]. These are the first samples (1882-1896) of crude oil. This confirms that such oil products were transported from Batumi. Bottles have Rectangular shape, they are made of a special order. On the page of the bottle, upper and down side, there are images of the Russian Imperial Coat of Arms and dates: "1882" and "1896". There is one Russian inscription between them: «ТОВ.БР.НОБЕЛЬ». There are not any similar reference bottles except of Batumi. These two bottles are connected to the Nobel brothers' activities in Batumi, because of this they are very important exhibits for the museum. As far as 1896 year is the upper chronological date, therefore it is logical to consider, that these bottles has been made in this year. This date may be related to the 20th anniversary of the establishment of the "Nobel Brothers oil company" which they established with other companies in 1876. These Bottles were created as the reference samples and specially sealed for history. At the very beginning they were designed as the typical museum exhibits which were marked by its manufacturer and the owner of the Nobel brothers company.